ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.12.22

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/22

შეკითხვა:

არის თუ არა ადვოკატის ქცევა ეთიკის ნორმებთან შესაბამისი, თუ სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატმა, რომელიც სამოქალაქო საქმეში წარმოადგენს პირს, რომელიც თავის მხრივ დაზარალებულად არის ცნობილი სისხლისსამართლის საქმეში და ამასთან იცის ადვოკატის სპეციალიზაციის თაობაზე, მიმართა სასამართლოს, დაზარალებულის სახელით, მისთვის საქმის მასალების ასლების გადაცემაზე. ამასთან, მას არ დაუმალავს თავისი სპეციალიზაცია და სისხლის სამართლის საქმიდან მასალების მიღების მოთხოვნა არ დაუყენებია „ადვოკატის“ სტატუსით.

ანალიზი:

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5)

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5)

ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, ეთიკის კომისიის სამუშაო შეხვედრით, ოქმი N04/19, განისაზღვრა კვალიფიციურობის სტანდარტის შემოწმების ფარგლები, რომლის მიხედვითაც, კვალიფიციური მომსახურეობის გაწევის ერთ-ერთ წინაპირობად დადგინდა, ადვოკატის მიერ კლიენტის მომსახურეობისას სპეციალიზაციის ფარგლებში მოქმედება.

დასკვნა:

კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოების თანახმად, სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატმა, თავისი მარწმუნებლის სახელით, რომელიც თავის მხრივ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად არის ცნობილი, სასამართლოსგან გამოითხოვა სისხლის სამართლის საქმის მასალები. ამასთან ადვოკატს არ დაუმალავს თავისი სპეციალიზაცია და განცხადება არ დაუყენებია ადვოკატის სტატუსით. შესაბამისად, ადვოკატის ქცევაში არ იკვეთება კეთილსინდისიერების, კანონიერების და კვალიფიციური მომსახურეობის ნორმათა მოთხოვნების დარღვევა.